ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N21

2018 წლის 21 თებერვალი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხუცუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ქვედა სამებაში N7 ქუჩისათვის ცნობილი მომღერალი გურამ თამაზაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ე" ქვეპუნქტის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ივლისის N299 განკარგულებისა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის სხდომის 2017 წლის 22 დეკემბრის N10 ოქმის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხუცუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ქვედა სამებაში N7 ქუჩას მიენიჭოს ცნობილი მომღერალი გურამ თამაზაშვილის სახელი;

2. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ აღნიშნული განკარგულება მიიღოს ცნობად;

3. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ აღნიშნული განკარგულება მიიღოს ცნობად;

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ. შაქარიშვილი);

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ნ.თხილაიშვილი